



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 6 20 0000876116



22/09/2020

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდებოდა, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 06 თებერვალს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N MO-02/02-28 (ცენტრში რეგისტრაციის N137652) სააკრედიტაციო განაცხადი "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 09 მარტის № 284898 ბრძანების საფუძველზე, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 08 მაისს №366357 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 20 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში

ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 08 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

“უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად თოთხმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 2020 წლის 06 თებერვლის N137652 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით;

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის N875055 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის პროგრამის შინაარსის გამლიერება კვლევითი კომპონენტებით და თეორიული საკითხებით;
2. ტესტი სპეციალობაში გამლიერდეს და LINUX და Python საკითხები მოეთხოვოს სიღრმისეულად. ასევე დაემატოს სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხებიც;
3. სასწავლო კურსებში ჩაემატოს თემატიკები თეორიული მოდელების და მოდელების შედარებების და შეფასებების შესახებ;
4. სასწავლო კურსი „პრაქტიკა“ გადატანილ იქნას მეოთხედან მესამე სემესტრში. გადაერქვას/დაზუსტდეს სახელი და გახდეს ან ყველასთვის სავალდებულო, ან ყველასთვის არჩევითი;
5. დაემატოს სავალდებულო თეორიული საგნები მოდელების აგების შესახებ, მაგ. „ოპერაციათა კვლევა“;
6. სასწავლო კურსების შინაარსი გამლიერდეს თეორიული და კვლევითი საკითხებით სწავლების საფეხურის შესაბამისად;

7. სასწავლო კურსში “ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)” დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სისტემების ანალიზიც;
8. კურსი “ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია“ მიეთითოს ლიტერატურის გამოშვების თარიღები;
9. კურსი “არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb)” დაემატოს წინაპირობა „javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის“ ცოდნა;
10. სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდების” საკითხები ორიენტირებული იყოს თუ როგორ ჩატარდეს კვლევა;
11. სასწავლო კურსში “მონიტორინგის სისტემები“ დაემატოს მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება და ასევე მიეთითოს ლიტერატურას გამოშვების წლები;
12. სასწავლო კურსებში ტერმინი „ავტომატური სისტემები“ ჩანაცვლდეს „ავტომატიზებული სისტემებით“;
13. სასწავლო კურსში “პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ სრულად გაიშალოს ტერმინი - „პროდუქტის სტრატეგია“;
14. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, საკურსო პროექტები და სხვა;
15. უდს-მ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამაში გააძლიეროს თეორიული და კვლევითი მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში;
16. მოწვეული პერსონალის შერჩევასა გათვალისწინებული იქნას მათი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა;

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი, ხოლო მონიტორინგი განხორციელდეს 1 წელსა და 6 თვეში.


6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 8 სექტემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹ | შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი |
| 2 | სტატუსი ² | ახალი |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | საბჭო(ებ)ს |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³ | |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური ⁴ | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე ⁵ | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმაციული სისტემების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი უფლების მითითებით ⁶ | ჯგუფის სწავლების |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0613 (პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი) |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი ⁷ | 0613 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი ⁸ | ჭავჭავაძის გამზ, #82, თბილისი, 0612, საქართველო |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2020 წლის 08 სექტემბერი |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹ | ანგარიში ერთი წელი (2021 წლის 08 სექტემბრამდე), მონიტორინგი (2021 წლის 9 მარტამდე). |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | |

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში